N გ-21-03/216
02/02/2021

216-გ-21-03-2-202102021300

შპს „ჯი-დი-ეს თი-ვის“

შ ე ტ ყ ო ბ ი ნ ე ბ ა

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2021 წლის 28 იანვარს დანიშნული სხდომა გადაიდო და გაიმართება 4 თებერვალს, 15:00 საათზე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომუნიკაციების კომისია“) სხდომაზე განიხილება შპს „ჯი-დი-ეს თი-ვის“ მიმართ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საჩივარი (საფუძველი: სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ წერილი N 2/07, 04/01/2021).

დამატებით გიგზავნით ადმინისტრაციული წარმოების მასალას -კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის სამსახურებრივ ბარათს (N21-10-160, 01/02/2021) თანდართული დოკუმენტაციით და სს „საზოგადოებრივ მაუწყებელთან“ გაგზავნილ კომისიის წერილს (გ-21-03/154, 27/01/2021).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ კომისიაში წარადგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

დამატებით გაცნობებთ, რომ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის რეკომენდაციის შესაბამისად, კომისია გადავიდა დისტანციური მუშაობის რეჟიმზე. კომისიის სხდომაზე დისტანციურად დასწრების მიზნით, გამოგეგზავნებათ სპეციალური ბმული (ლინკი), კომისიისთვის ცნობილ და თქვენს მიერ დაფიქსირებულ ბოლო ელ. ფოსტის ან/და მობილური ტელეფონის ნომერზე. შესაბამისად, გთხოვთ, შესაბამის ელექტრონულ პორტალზე (https://eforms.comcom.ge) უმოკლეს ვადაში განაახლოთ ან/და კომისიის ოფიციალურ ელ. ფოსტაზე (post@comcom.ge) მოგვაწოდოთ თქვენი საკონტაქტო მონაცემები (ელფოსტა, მობილური ტელეფონის ნომერი), წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისია იხელმძღვანელებს მის ხელთ არსებული ბოლო საკონტაქტო მონაცემებით, რომელზეც გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება ოფიციალურად გაგზავნილ შეტყობინებად, ყველა თანმდევი სამართლებრივი შედეგით. ამასთანავე, გაცნობებთ, რომ კომისიის შესაბამისი შეტყობინებები და გადაწყვეტილებები ამავდროულად გამოქვეყნდება კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზეც (www.comcom.ge). ასევე, გაცნობებთ, რომ უფლებამოსილი ხართ თქვენი პოზიცია წარმოგვიდგინოთ წერილობით კომისიის ოფიციალურ ელ. ფოსტაზე post@comcoom.ge. გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმოადგენლის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

დანართი:

1. კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათი ((N 21-10-160, 01/02/2021) თანდართული დოკუმენტაციით;
2. კომისიის წერილი (გ-21-03/154, 27/01/2021) სს „საზოგადოებრივ მაუწყებელს“.

ოლია ვოტ

ადმინისტრაციის უფროსი
ადმინისტრაცია